



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის



MES 9 20 0000604327



15/07/2020

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის წესით გადამსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (14/07/2020წ; N599857) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა) შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთათვის განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2020 წლის 20 აგვისტოდან 2020 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით;

ბ) ფაკულტეტების მიერ შიდა მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბრიდან 2020 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით;

გ) დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სტუდენტთა შიდა მობილობის შედეგები წარმოადგინოს 2020 წლის 14 სექტემბერს.

2. ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
3. სტუდენტის პრიორიტეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
7. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (თ.გიორგაძეს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი

